

ქალდეას ბალაგანი

ჩემი სამშობლო, საქართველო, სხვა თეატრია,
ბევრი მინახავს ხეტიალში მე თეატრები.
გახუნებული მისი სული ბევრმა ათრია,
მაგრამ ელვარე მზე სხივებით არ ეხათრება.

ვხედავ, მოდიან. ზღვა ლანდებით ბრძენი მაგები,
მიმი, ჟონგლერი და დროგები აქტიორებით.
არ მეშინია ძვირფას მმებთან სულის წაგება
და ძველ პიესას მე ვთამაშობ განმეორებით.

იყო თამარი და ძვირფასი მისი სამება,
ამაზე იტყვის საქართველო მატთანებით.
მხოლოდ შენ ტანჯვას, კოლომბინა, და შენ წამებას
ჰეროს მეტი ვერ იტირებს სხვა დანანებით.

ვერ ნახავ რაინდს ჩემზე უფრო, რომ უერთგულოს
შენ წამებულ სულს, კოლომბინა, შენ ტუბერკულოზს.

22 აპრილი,
1918 წ.